საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 354/ს
23/09/2022

354-21-4-202209231851

„ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩაჩხრიალაში, ი/მ ნატა პაპუნაშვილის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 19 სექტემბრის №342/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 19 სექტემბრის №342/ს ბრძანებით გაიცა ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩაჩხრიალაში, ი/მ ნატა პაპუნაშვილის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილება.

2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა №17/2072 წერილი (სააგენტოში რეგისტრაციის №4974), რომლის თანახმადაც კულტურული მემკვიდრეობის პორტალის (https://memkvidreoba.gov.ge) მონაცემების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე (ს/კ 50.13.31.239) არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი, თუმცა ის ექცევა ეროვნული კატეგორიის მქონე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - "ერელაანთ საყდარი" (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N3/133 30.03.2006, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N665 07.11.2006) - ინდივიდუალური დამცავი ზონის ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩაჩხრიალაში, ი/მ ნატა პაპუნაშვილის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 19 სექტემბრის №342/ს ბრძანება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის ,,ე” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩაჩხრიალაში, ი/მ ნატა პაპუნაშვილის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 19 სექტემბრის №342/ს ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ ნატა პაპუნაშვილს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ ნატა პაპუნაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო